მდ. ალგეთი, ქ. მარნეული - სულ აღებული იქნა 10 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 2.54-4.48 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 787.22-3246.12 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 3246.12 მგ/ლ დაფიქსირდა მარტში. ამონიუმის აზოტის შემცველობა 5 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.198-1.057 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.544 მგN/ლ (1.4 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 1.057 მგN/ლ (2.7 ზდკ) დაფიქსირდა დეკემბერში. სულფატების შემცველობა 6 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მისი მნიშვნელობები მერყეობდა 222.56-1928.29 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 939.77 მგ/ლ (1.9 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 1928.29 მგ/ლ (3.9 ზდკ) დაფიქსირდა მარტში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ალგეთი, სოფ. ფარცხისი - სულ აღებული იქნა 11 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.21-4.02 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 387.54-527.78 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 527.78 მგ/ლ დაფიქსირდა ოქტომბერში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. კლდეისი - მდ. კლდეისის წყლის ხარისხის შეფასება ჩატარდა 1 კვეთზე სოფ. ბედიანთან. სულ აღებული იქნა 12 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.31-3.18 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის მნიშვნელობები - 190.51-410.94 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 410.94 მგ/ლ დაფიქსირდა ნოემბრის თვეში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაციები 3 სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.087-0.941 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ

შეადგინა 0.293 მგN/ლ, უდიდესი კონცენტრაცია 0.941 მგN/ლ (2.4 ზდკ) დაფიქსირდა იანვრის თვეში.

ნიტრიტის, ნიტრატის, ფოსფატის, სულფატის, ქლორიდის, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ალაზანი (ზოგადი დახასიათება) - მდ ალაზნის წყალზე დაკვირვება წარმოებდა 8 კვეთზე: სოფ. შაქრიანთან, სოფ. ჭიაურასთან, სოფ. ომალოსთან, სოფ. ალავერდთან, დაბა ახმეტასთან, სოფ. ერისიმედთან, სოფ. ვაშლოვანთან და სოფ. აფენთან. სულ აღებული იქნა 87 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.02-4.25 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 92.87-707.70 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისი უდიდესი მნიშვნელობა 707.70 მგ/ლ დაფიქსირდა სოფ. ერისიმედთან სექტემბრის თვეში. ამონიუმის აზოტი 19 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.016-3.138 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.341 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 3.138 მგN/ლ (8 ზდკ) დაფიქსირდა სოფ. აფენთან მარტის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს.

მდ. ალაზანი, სოფ. ალავერდი - სოფ. ალავერდთან სულ აღებული იქნა 4 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.44-1.90 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 161.44-316.81 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისი უდიდესი მნიშვნელობა 316.81 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბერში. ამონიუმის აზოტის შემცველობა მერყეობდა 0.202-0.402 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.254 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.402 მგN/ლ დაფიქსირდა ივნისში და მხოლოდ ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას უმნიშვნელოდ.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს.

მდ. ალაზანი, სოფ. შაქრიანი - სოფ. შაქრიანთან სულ აღებული იქნა 12 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.18-2.73 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 176.79-522.07 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 522.07 მგ/ლ დაფიქსირდა იანვრის თვეში. ამონიუმის აზოტის შემცველობა მხოლოდ ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.016-1.145 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.274 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 1.145 მგN/ლ (2.9 ზდკ) დაფიქსირდა აგვისტოში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიის, მანგანუმისა და ნავთობპროდუქტების კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ალაზანი, სოფ. ჭიაურა - სოფ. ჭიაურთან სულ აღებული იქნა 12 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.14-2.25 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია - 186.08-391.54 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 391.54 მგ/ლ დაფიქსირდა ოქტომბრის თვეში. ამონიუმის აზოტის შემცველობა მერყეობდა 0.152-1.137 მგN/ლ-ის ფარგლებში. აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს ორ სინჯში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.337 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 1.137 მგN/ლ (2.9 ზდკ) დაფიქსირდა მარტის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ალაზანი, სოფ. ომალო - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის შემცველობები მერყეობდა 1.02-4.25 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 92.87-315.79 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 315.79 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბრის თვეში. ამონიუმის აზოტის შემცველობა სამ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.029-1.776 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.367 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 1.776 მგN/ლ (4.6 ზდკ) დაფიქსირდა აპრილში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ალაზანი, დაბა ახმეტა - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის შემცველობები მერყეობდა 1.15-4.05 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 123.53-355.56 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 355.56 მგ/ლ დაფიქსირდა ნოემბერში. ამონიუმის აზოტის შემცველობა სამ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.027-0.483 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.246 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.483 მგN/ლ (1.2 ზდკ) დაფიქსირდა ივნისში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ალაზანი, სოფ. ერისიშეთი - სულ აღებული იქნა 11 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის შემცველობები მერყეობდა 1.11-3.52 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 219.83-707.70 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 707.70 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბერში. ამონიუმის აზოტის შემცველობა ხუთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.139-0.944 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.391 მგN/ლ (1 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 0.944 მგN/ლ (2.4 ზდკ) დაფიქსირდა ივლისში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ალაზანი, სოფ. ვაშლოვანი - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის შემცველობები მერყეობდა 1.12-3.14 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 216.98-684.42 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 684.42 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბერში. ამონიუმის აზოტის შემცველობა სამ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.127-1.045 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.365 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 1.045 მგN/ლ (2.7 ზდკ) დაფიქსირდა მარტში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ალაზანი, სოფ. აფენი - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის შემცველობები მერყეობდა 1.12-2.85 მგ/ლ-ის

ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 218.25-432.72 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 432.72 მგ/ლ დაფიქსირდა თებერვალში. ამონიუმის აზოტის შემცველობა მხოლოდ ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.054-3.138 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.443 მგN/ლ (1.1 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 3.138 მგN/ლ (8 ზდკ) დაფიქსირდა მარტში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. იორი (ზოგადი დახასიათება) - მდ იორის წყალზე დაკვირვება წარმოებდა 6 კვეთზე: სოფ. სასადილო, სოფ. სართიჭალა, სოფ. პადლო, სოფ. იორმულაღნო, სოფ. კოლაგირი და ალაზნის საზღვართან. სულ აღებული იქნა 72 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.12-4.25 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 265.09-1856.69 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 1856.69 მგ/ლ დაფიქსირდა ალაზნის საზღვართან ივნისში. ამონიუმის აზოტის შემცველობა 6 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.031-1.591 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.252 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 1.591 მგN/ლ (4.1 ზდკ) დაფიქსირდა სოფ. პადლოსთან იანვარში. სულფატების მნიშვნელობები 11 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 2.93-932.1 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 220.68 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 932.1 (1.9 ზდკ) დაფიქსირდა ალაზნის საზღვართან ივნისის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, ტყვიის თუთიის, სპილენძისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. იორი, სოფ.სასადილო - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.42-3.18 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 272.44-399.95 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 399.95 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბერში.

ნიტრიტის, ნიტრატის, ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, ტყვიის, თუთიის, სპილენძისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. იორი, სოფ. სართიჭალა - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.62-4.15 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 324.19-561.67 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 561.67 მგ/ლ დაფიქსირდა ივნისში. ამონიუმის აზოტი მხოლოდ ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.109-0.503 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.24 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.503 მგN/ლ (1.3 ზდკ) დაფიქსირდა იანვარში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის ტყვიის, თუთიის, სპილენძისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. იორი, სოფ. პადლო - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.12-3.55 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 265.09-825.50 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 825.50 მგ/ლ დაფიქსირდა ივნისში. ამონიუმის აზოტი სამ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.086-1.591 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.389 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 1.591 მგN/ლ (4.1 ზდკ) დაფიქსირდა იანვარში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის ტყვიის, თუთიის, სპილენძისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. იორი, სოფ. იორმულანო - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.72-3.9 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 268.96-1155.6 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 1155.6 მგ/ლ დაფიქსირდა ივნისში. ამონიუმის აზოტი ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.065-0.429 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.226 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.429 მგN/ლ (1.1 ზდკ) დაფიქსირდა იანვარში. სულფატების მნიშვნელობები 3 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 5.99-585.36 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 340.65 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 585.36 (1.2 ზდკ) დაფიქსირდა ნოემბრის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის ტყვიის, თუთიის, სპილენძისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. იორი, სოფ. კოლაგირი - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.12-4.25 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 286.69-1433.49 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 1433.49 მგ/ლ დაფიქსირდა ივნისში. სულფატების მნიშვნელობები 3 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 10.04-740.73 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 354.34 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 740.73 (1.5 ზდკ) დაფიქსირდა ისევ ივნისის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის ტყვიის, თუთიის, სპილენძისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. იორი, ალაზნის საზღვართან - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.4-4.18 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 268.83-1856.69 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 1856.69 მგ/ლ დაფიქსირდა ივნისში. ამონიუმის აზოტი მხოლოდ ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.064-0.496 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.211 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.496 მგN/ლ (1.3 ზდკ) დაფიქსირდა ივლისში. სულფატების მნიშვნელობები 5 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 2.93-932.1 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 426.88 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 932.1 (1.9 ზდკ) დაფიქსირდა ივნისის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის ტყვიის, თუთიის, სპილენძისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მაშავერა (ზოგადი დახასიათება) - მდ. მაშავერას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 8 კვეთზე: მაშავერა ზედა და მაშავერა ქვედა, ქ. ბოლნისთან, ქ. ბოლნისის ქვედა კვეთზე, სოფ. დიდ დმანისთან, სოფ. კიანეთთან, სოფ. ხიდისყურთან და ქ. დმანისთან. სულ აღებული იქნა 123 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.81-8.41 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 1.85 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 8.41 მგ/ლ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.4-ჯერ მხოლოდ ერთ, მდ. მაშავერას ქვედა კვეთზე 2 მარტს გაზომილ სინჯში. მინერალიზაცია მერყეობდა 99.32-950.80 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 950.80 მგ/ლ დაფიქსირდა მდინარის ქვედა კვეთზე 7 თებერვალს.

ამონიუმის აზოტის შემცველობა 26 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. ის მერყეობდა 0.022-2.432 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.345 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 2.432 მგN/ლ დაფიქსირდა 21 დეკემბერს ისევ მდ. მაშავერას ქვედა კვეთზე და აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს 6.2-ჯერ. რკინის მნიშვნელობები მერყეობდა 0.003 – 0.9051 მგ/ლ-ის ფარგლებში. აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს 4 სინჯში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.178 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.9051 მგ/ლ (3 ზდკ) დაფიქსირდა 31 იანვარს მდინარის ზედა კვეთზე. კადმიუმის შემცველობა მერყეობდა 0.00001-0.0145 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.0008 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.0145 მგ/ლ (14.5 ზდკ) დაფიქსირდა 18 იანვარს მდ. მაშავერას ქვედა კვეთზე. კადმიუმი 8 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მანგანუმის შემცველობა 18 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. ის მერყეობდა 0.0001-1.1921 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.0898 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 1.1921 მგ/ლ (11.9 ზდკ) დაფიქსირდა 24 თებერვალს მდინარის ქვედა კვეთში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, ნიკელის, კობალტის, ტყვიის, მოლიბდენისა და ზასნ-ის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მაშავერა, სოფ. დიდი დმანისი - სულ აღებული იქნა 24 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.81-2.63 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის - 121.79-317.42 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 317.42 მგ/ლ დაფიქსირდა 30 მაისის სინჯში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაციები მხოლოდ ორ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.022-1.051 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.277 მგN/ლ. უდიდესი კონცენტრაცია 1.051 მგ/ლ დაფიქსირდა 31 იანვარს და აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 2.7-ჯერ.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, კადმიუმის, სპილენძის, ნიკელის, კობალტის, ტყვიის, მოლიბდენის, მანგანუმისა და ზასნ-ის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მაშავერა, ქ.ბოლნისი - სულ აღებული იქნა 24 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.01-4.05 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის - 176.36-608.06 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 608.06 მგ/ლ დაფიქსირდა 18 იანვარს გაზომილ სინჯში. ამონიუმის აზოტის

კონცენტრაციები 6 სინჯში აღმატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.073-0.724 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.323 მგN/ლ. უდიდესი კონცენტრაცია 0.724 მგN/ლ (1.9 ზდკ) დაფიქსირდა 25 აპრილს. კადმიუმის კონცენტრაციები მხოლოდ ერთ, 7 თებერვლის სინჯში აღმატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.0001-0.0056 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესმა მნიშვნელობამ შეადგინა 0.0056 მგ/ლ (5.6 ზდკ), ხოლო საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.0006 მგ/ლ. მანგანუმის კონცენტრაციებიც მხოლოდ ერთ, 7 თებერვლის სინჯში აღმატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.0003-0.2976 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესმა მნიშვნელობამ შეადგინა 0.2976 მგ/ლ (3 ზდკ), ხოლო საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ - 0.0395 მგ/ლ.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ნიკელის, კობალტის, ტყვიის, მოლიბდენისა და ზასნ-ის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მაშავერა, ქ. ბოლნისის ქვემოთ - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.91-2.80 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის - 303.56-650.80 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 650.80 მგ/ლ დაფიქსირდა თებერვალში გაზომილ სინჯში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაციები ორ სინჯში აღმატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.129-0.547 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.264 მგN/ლ. უდიდესი კონცენტრაცია 0.547 მგ/ლ (1.4 ზდკ) დაფიქსირდა ისევ თებერვლის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მაშავერა, ზედა კვეთი - სულ აღებული იქნა 24 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის კონცენტრაციები მერყეობდა 0.81-3.24 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 181.14-658.45 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 658.45 მგ/ლ დაფიქსირდა 31 იანვარს გაზომილ სინჯში. ამონიუმის აზოტის შემცველობა 5 სინჯში აღმატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.045 - 0.925 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.351 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.925 მგN/ლ (2.4 ზდკ) დაფიქსირდა 5 სექტემბრის სინჯში. რკინის შემცველობა მხოლოდ ერთ, 31 იანვარს გაზომილ სინჯში აღმატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.019-0.9051 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა

კონცენტრაციამ შეადგინა 0.211 მგ/ლ, ხოლო უდიდესმა მნიშვნელობამ - 0.9051 მგ/ლ (3 ზდკ). მანგანუმის შემცველობა აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 5 სინჯში. მერყეობდა 0.0008-0.2966 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.0689 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.2966 მგ/ლ (3 ზდკ) დაფიქსირდა 31 იანვრის სინჯში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, თუთიის, კადმიუმის, სპილენძის, ნიკელის, კობალტის, ტყვიის, მოლიბდენის და ზასნ-ის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მაშავერა, ქვედა კვეთი - სულ აღებული იქნა 24 სინჯი. მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ5 -ის მნიშვნელობები მხოლოდ ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.91-8.41 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 2.31 მგ/ლ, უდიდესი მნიშვნელობა 8.41 მგ/ლ (1.4 ზდკ) დაფიქსირდა 2 მარტს. მინერალიზაცია მერყეობდა 226.06-950.80 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 950.80 მგ/ლ დაფიქსირდა 7 თებერვლის სინჯში. ამონიუმის აზოტის შემცველობა 11 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.139 - 2.432 მგN/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.538 მგN/ლ (1.4 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 2.432 მგN/ლ (6.2 ზდკ) დაფიქსირდა 21 დეკემბრის სინჯში. რკინის შემცველობა 3 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.0616 – 0.5795 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.2181 მგ/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.5795 მგ/ლ დაფიქსირდა 30 მაისს და აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 1.9-ჯერ. მანგანუმის შემცველობა 12 სინჯში აღემატებოდა ზღვრულ ნორმას. ის მერყეობდა 0.0027-1.1921 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.2657 მგ/ლ (2.7 ზდკ). მაქსიმალური კონცენტრაცია 1.1921 მგ/ლ (11.9 ზდკ) დაფიქსირდა 24 თებერვალს. კადმიუმის მნიშვნელობა 7 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. ის მერყეობდა 0.0001-0.0145 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.0019 მგ/ლ (1.9 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 0.0145 მგ/ლ (14.5 ზდკ) დაფიქსირდა 18 იანვარს გაზომილ სინჯში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, თუთიის, სპილენძის, ნიკელის, კობალტის, ტყვიის, მოლიბდენის და ზასნ-ის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მაშავერა, სოფ.ხიდისყური - სულ აღებული იქნა 2 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ5 მერყეობდა 0.81-1.11 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო

მინერალიზაცია - 312.71-578.24 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 578.24 მგ/ლ დაფიქსირდა აპრილის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, სულფატებისა და ქლორიდების, კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მაშავერა, სოფ. კიანეთი - სულ აღებული იქნა 1 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის კონცენტრაციამ შეადგინა 1.0 მგ/ლ, ხოლო მინერალიზაციამ - 274.65 მგ/ლ

ნიტრიტების, ნიტრატების, ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. მაშავერა, ქ. დმანისი - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.81-3.01 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 99.32-261.25 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 261.25 მგ/ლ დაფიქსირდა ნოემბრის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ამონიუმის აზოტის, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. კაზრეთულა - მდ. კაზრეთულას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე დაბა კაზრეთთან. სულ აღებული იქნა 24 სინჯი.

მიმდინარე წელს ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ ხუთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას. მერყეობდა 1.52-9.22 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 9.22 მგ/ლ (1.5 ზდკ) დაფიქსირდა 21 დეკემბერს გაზომილ სინჯში, ხოლო საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 4.91 მგ/ლ. მინერალიზაცია იყო მომატებული და მერყეობდა 308.28-2576.75 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 2576.75 მგ/ლ დაფიქსირდა 4 ივლისს. ამონიუმის აზოტის შემცველობა 24 სინჯიდან 23 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მისი მნიშვნელობები მერყეობდა 0.037-3.537 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 1.89 მგN/ლ (4.8 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 3.537 მგN/ლ დაფიქსირდა 29 ივნისის სინჯში და აღემატებოდა ზღვრულ ნორმას 9.1-ჯერ. სულფატების კონცენტრაცია 11 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მისი შემცველობა მერყეობდა 54.16-1785.75 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 513.14 მგ/ლ (1 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 1785.75 მგ/ლ (3.6 ზდკ) დაფიქსირდა

4 ივლისს. რკინის შემცველობა მერყეობდა 0.011-2.6868 მგ/ლ-ის ფარგლებში და ის 12 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. უდიდესი მნიშვნელობა 2.6868 მგ/ლ (9 ზდკ) დაფიქსირდა 29 ივნისს, ხოლო საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.549 მგ/ლ (1.8 ზდკ). თუთიის შემცველობა მხოლოდ ორ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ ნორმას. მერყეობდა 0.0031-5.5101 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი კონცენტრაცია 5.5101 მგ/ლ (5.5 ზდკ) დაფიქსირდა 2 მაისს. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.610 მგ/ლ. სპილენძის შემცველობა მხოლოდ ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ ნორმას. მერყეობდა 0.0033-1.0106 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი კონცენტრაცია 1.0106 მგ/ლ (1 ზდკ) დაფიქსირდა 29 ივნისს. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.1681 მგ/ლ. მანგანუმის შემცველობა 23 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს. მერყეობდა 0.0119-2.2859 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.9435 მგ/ლ (9.4 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 2.2859 მგ/ლ (22.9 ზდკ) დაფიქსირდა 2 მაისს. კადმიუმის შემცველობა 22 სინჯში აღემატებოდა ნორმას. ის მერყეობდა 0.0006-0.0379 მგ/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.0066 მგ/ლ (6.6 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 0.0379 მგ/ლ (37.9 ზდკ) დაფიქსირდა 2 მაისს. ზასნ-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.015-0.11 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისი უდიდესი კონცენტრაცია 0.11 მგ/ლ (1.1 ზდკ) დაფიქსირდა 21 დეკემბერს და აღემატებოდა ზღვრულ ნორმას 2 სინჯში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.078 მგ/ლ.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, ნიკელის, კობალტის, ტყვიისა და მოლიბდენის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ფოლადაური - მდ. ფოლადაურის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე ს. სოფელ რაჭისუბანთან. სულ აღებული იქნა 23 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა ყველა სინჯში იყო დამაკმაყოფილებელი. ჟმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.81-2.94 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 484.74-1120.95 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 1120.95 მგ/ლ დაფიქსირდა 25 აპრილს გაზომილ სინჯში. ამონიუმის აზოტის შემცველობა სამ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს, მერყეობდა 0.037-1.021 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისი უდიდესი მნიშვნელობა 1.021 მგN/ლ (2.6 ზდკ) დაფიქსირდა 30 მაისს. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.301 მგN/ლ.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, კადმიუმის, სპილენძის, ნიკელის, კობალტის, ტყვიის, მოლიბდენის, მანგანუმისა და ზასნის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. არაგვი (ზოგადი დახასიათება) - მდ. არაგვის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 5 კვეთზე: სოფ. ციხისძირთან, სოფ.ჩინთთან სოფ.ბულაჩაურთან, დაბა ფასანაურთან და სოფ. წიწამურთან. სულ აღებული იქნა 58 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.81-4.68 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 198.84-365.87 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 365.87 მგ/ლ დაფიქსირდა ნოემბერში დაბა ფასანაურში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 3 სინჯში. მერყეობდა 0.05-0.714 მგN/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური კონცენტრაცია 0.714 მგN/ლ (1.8 ზდკ) დაფიქსირდა მარტის თვეში სოფ. ჩინთთან. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.232 მგN/ლ.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიის, მანგანუმისა და ნავთობპროდუქტების კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. არაგვის წყალში მიკრობიოლოგიური ანალიზები ჩატარდა ხუთივე კვეთზე. გაიზომა 3 ინგრედიენტი: ტოტალური კოლიფორმები, E.coli-ლაქტოზა დადებითი ნაწლავის ჩხირი და ფეკალური სტრეპტოკოკები. სულ დაფიქსირდა მიკრობიოლოგიური დაბინძურების 14 შემთხვევა. E.coli-ის შემცველობა აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას სოფ. ციხისძირთან 18920 1დმ³-ში (3.8 ზდკ) და სოფ. ბულაჩაურთან 6240 1დმ³-ში (1.2 ზდკ) თითო-თითო სინჯში. ტოტალური კოლიფორმები ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას აღემატებოდა სოფ. ციხისძირთან 4 შემთხვევაში, სოფ. ბულაჩაურთან - 4 შემთხვევაში, სოფ. თვალივთან - 1 შემთხვევაში და სოფ. ჩინთთან - 1 შემთხვევაში. მისი უდიდესი მნიშვნელობა ზღვრულად დასაშვებს აღემატებოდა: სოფ. ციხისძირთან - (20640 1დმ³-ში) 4.1-ჯერ, სოფ. ბულაჩაურთან (11180 1დმ³-ში) - 2.2 -ჯერ, სოფ. ჩინთთან - 6850 1დმ³-ში) - 1.4 -ჯერ და სოფ. თვალივთან (6830 1დმ³-ში) 1.4-ჯერ.

მდ. არაგვი, სოფ. ჩინთი - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ -ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.98-2.27 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია მერყეობდა 207.58-324.88 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 324.88 მგ/ლ დაფიქსირდა მარტის თვეში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას მხოლოდ ერთ სინჯში. მერყეობდა 0.116-0.714 მგN/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური კონცენტრაცია 0.714 მგN/ლ (1.8 ზდკ) დაფიქსირდა მარტის თვეში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.252 მგN/ლ.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიის, მანგანუმისა და ნავთობპროდუქტების კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. არაგვის წყალში სოფ. ჩინთთან დაფიქსირდა მიკრობიოლოგიური დაბინძურების ერთადერთი შემთხვევა - ტოტალური კოლიფორმების შემცველობამ ოქტომბრის თვეში შეადგინა 6850 1დმ³-ში (1.4 ზდკ):

მდ. არაგვი, სოფ.ციხისძირი - სულ აღებული იქნა 11 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.01-1.88 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია მერყეობდა 246.95-348.51 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 348.51 მგ/ლ დაფიქსირდა ნოემბრის თვეში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მერყეობდა 0.102-0.407 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.267 მგN/ლ, ხოლო მაქსიმალური კონცენტრაცია 0.407 მგN/ლ-ის მხოლოდ ერთ, თებრვლის სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. არაგვის წყალში სოფ. ციხისძირთან დაფიქსირდა მიკრობიოლოგიური დაბინძურების 5 შემთხვევა: E-Coli-ის შემცველობამ ოქტომბერში შეადგინა 18920 1დმ³-ში (3.8 ზდკ), ტოტალური კოლიფორმების შემცველობამ შეადგინა: ივნისში 6570 1დმ³-ში (1.3 ზდკ), ივლისში - 7760 1დმ³-ში (1.6 ზდკ), ოქტომბერში -20640 1დმ³-ში (4.1 ზდკ), ხოლო დეკემბერში - 5120 1დმ³-ში უმნიშვნელოდ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებს.

მდ. არაგვი, სოფ. ბულაჩაური - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.95-2.13 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია მერყეობდა 198.84-342.92 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 342.92 მგ/ლ დაფიქსირდა ნოემბრის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ამონიუმის აზოტის, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. არაგვის წყალში სოფ. ბულაჩაურთან დაფიქსირდა მიკრობიოლოგიური დაბინძურების 5 შემთხვევა: E-Coli-ის შემცველობამ ივნისში შეადგინა 6240 1დმ³-ში (1.2 ზდკ), ტოტალური კოლიფორმების შემცველობამ შეადგინა: ივნისში 8330 1დმ³-ში (1.7 ზდკ), ივლისსა 10810

1დმ³-ში და ოქტომბერში - 11180 1დმ³-ში (2.2 ზდკ), ხოლო დეკემბერში - 6180 1დმ³-ში (1.2 ზდკ).

მდ. არაგვი, დაბა ფასანაური - სულ აღებული იქნა 11 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.02 -4.68 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია მერყეობდა 246.35-365.87 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 365.87 მგ/ლ დაფიქსირდა ნოემბრის თვეში. ამონიუმის აზოტის მნიშვნელობები მხოლოდ ერთ სინჯში აღმატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.064-0.412 მგN/ლ-ს ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.231 მგN/ლ. მისი უდიდესი მნიშვნელობა 0.412 მგN/ლ (1.1 ზდკ) დაფიქსირდა მარტში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. არაგვის წყალში დაბა ფასანაურთან დაფიქსირდა მიკრობიოლოგიური დაბინძურების 2 შემთხვევა: ივნისის თვეში E-Coli-ის შემცველობამ შეადგინა 8090 1დმ³-ში (1.6 ზდკ), ხოლო ტოტალური კოლიფორმების შემცველობამ - 12360 1დმ³-ში (2.5 ზდკ).

მდ. არაგვი, სოფ. წიწამური - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.81 -2.43 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია მერყეობდა 233.26-355.06 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 355.06 მგ/ლ დაფიქსირდა ოქტომბრის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, ამონიუმის აზოტის, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. არაგვის წყალში სოფ. წიწამურთან მიკრობიოლოგიური დაბინძურება არ დაფიქსირებულა.

მდ. ფშავის არაგვი - მდ. ფშავის არაგვის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე სოფ. თვალისთან. სულ აღებული იქნა 12 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 0.91-2.33 მგ/ლ-ის ფარგლებში, მინერალიზაცია კი - 212.94-344.71 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 344.71 მგ/ლ დაფიქსირდა მარტის თვეში. ამონიუმის აზოტის მნიშვნელობები აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას მხოლოდ ერთ სინჯში. მერყეობდა 0.094-0.418 მგN/ლ-ს ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ

შეადგინა 0.223 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 0.418 მგN/ლ (1.1 ზდკ) დაფიქსირდა აპრილის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ფშავის არაგვის წყალში დაფიქსირდა მიკრობიოლოგიური დაბინძურების ერთადერთი შემთხვევა, ტოტალური კოლიფორმების შემცველობამ შეადგინა ოქტომბერში - 6830 1დმ³-ში (1.4 ზდკ);

მდ. შავი არაგვი - მდ. შავი არაგვის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე დაბა ფასანაურის ხიდთან. სულ აღებული იქნა 11 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.01-4.62 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 255.19-443.68 მგ/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური მნიშვნელობა 443.68 მგ/ლ დაფიქსირდა იანვრის თვეში. ამონიუმის აზოტის მნიშვნელობები მხოლოდ ერთ, სექტემბრის თვეში გაზომილ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.077-1.20 მგN/ლ-ს ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.279 მგN/ლ. უდიდესი მნიშვნელობა 1.20 მგN/ლ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 3.1-ჯერ.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. შავი არაგვის წყალში დაბა ფასანაურთან მიკრობიოლოგიური დაბინძურება არ დაფიქსირებულა.

მდ. ასურეთისწყალი - მდ. ასურეთისწყალის წყლის ხარისხის შეფასება ჩატარდა 1 კვეთზე სოფ. ასურეთთან. სულ აღებული იქნა 2 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის კონცენტრაცია მერყეობდა 3.18-3.50 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის - 726.33 - 750.85 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 750.85 დაფიქსირდა აპრილში.

ნიტრიტის, ნიტრატის, ამონიუმის აზოტის, სულფატის, ფოსფატისა და ქლორიდის, კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. დუშეთისხევისწყალი - მდ. დუშეთისხევისწყლის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე ქ. დუშეთთან. სულ აღებული იქნა 4 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.55-3.75 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის - 354.14-527.01 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 527.01 მგ/ლ დაფიქსირდა მარტის თვეში. ამონიუმის აზოტის მნიშვნელობები ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.183-1.053 მგN/ლ-ს ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.447 მგN/ლ (1.1 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 1.053 მგN/ლ დაფიქსირდა მარტში და აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 2.7-ჯერ.

ნიტრიტებს, ნიტრატების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. კაბალი - მდ. კაბალის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე - კაბალჰესთან. სულ აღებული იქნა 12 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅ მერყეობდა იყო 0.95-3.92 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია - 83.48-192.74 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისი უდიდესი მნიშვნელობა 192.74 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბრის თვეში. სულფატების შემცველობა მერყეობდა 1.13-587.53 მგ/ლ-ის ფარგლებში. მისმა საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 59.8 მგ/ლ. ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე მაღალი მნიშვნელობა 587.53 მგ/ლ (1.2 ზდკ) დაფიქსირდა მხოლოდ ერთ, ოქტომბერში გაზომილ სინჯში.

ნიტრიტის, ნიტრატის, ამონიუმის აზოტის, ფოსფატის, ქლორიდის, თუთიის, სპილენძის, რკინის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ბაწარა - მდ. ბაწარას წყლის ხარისხის შეფასება ჩატარდა 1 კვეთზე სოფ. ბაწარასთან. სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები იცვლებოდა 1.05-3.44 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის მნიშვნელობები - 114.32-295.02 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 295.02 მგ/ლ დაფიქსირდა აგვისტოში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაციები ორ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.026-3.945 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.535 მგN/ლ (1.4 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 3.945 მგN/ლ (10.1 ზდკ) დაფიქსირდა აპრილის თვეში.

ნიტრიტის, ნიტრატის, ფოსფატის, სულფატის, ქლორიდის, თუთიის, სპილენძის, რკინის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ლოპოტა - მდ. ლოპოტას წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 1 კვეთზე სოფ. ფშაველთან. სულ აღებული იქნა 12 სინჯი.

ქანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. pH -ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.01-2.63 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 105.79-195.26 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 195.26 მგ/ლ დაფიქსირდა აგვისტოში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია ორ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.029-0.505 მგN/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური კონცენტრაცია 0.505 მგN/ლ (1.3 ზდკ) დაფიქსირდა აპრილის თვეში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.223 მგN/ლ.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. სტორი - მდ. სტორის წყლის ხარისხის შეფასება წარმოებდა 2 კვეთზე სოფ. ლეჩურის ზემოთ და ქვემოთ. სულ აღებული იქნა 24 სინჯი.

ქანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. pH -ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.08-2.63 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 101.65-336.40 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 336.40 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბერში თვეში სოფ. ლეჩურის ქვედა კვეთზე. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 4 სინჯში. მერყეობდა 0.075-1.248 მგN/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური კონცენტრაცია 1.248 მგN/ლ (3.2 ზდკ) დაფიქსირდა აპრილში სოფ. ლეჩურის ზემოთ. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.299 მგ/ N/ლ.

ნიტრიტების, ნიტრატების, ფოსფატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. სტორი, სოფ. ლეჩური ზედა - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ქანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. pH -ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.12-2.53 მგ/ლ-ის ფარგლებში. მინერალიზაცია მერყეობდა 101.65-198.57 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 198.57 მგ/ლ დაფიქსირდა იანვრის თვეში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია მხოლოდ ერთ სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა

0.075-1.248 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.306 მგ/N/ლ. მაქსიმალური კონცენტრაცია 1.248 მგN/ლ (3.2 ზდკ) დაფიქსირდა აპრილის თვეში.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. სტორი, სოფ. ლეჩური ქვედა - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები მერყეობდა 1.08-2.63 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაცია მერყეობდა 105.77-336.4 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 336.4 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბრის თვეში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაცია 3 სინჯში აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. მერყეობდა 0.114-0.606 მგN/ლ-ის ფარგლებში. მაქსიმალური კონცენტრაცია 0.606 მგN/ლ (1.6 ზდკ) დაფიქსირდა მაისის თვეში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.292 მგ/N/ლ.

ნიტრიტების, ნიტრატების, სულფატების, ფოსფატების, ქლორიდების, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ბურსა - მდ. ბურსას წყლის ხარისხის შეფასება ჩატარდა 2 კვეთზე: ქ. ყვარელი ზედა და ქ. ყვარელი ქვედა. სულ აღებული იქნა 19 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები იცვლებოდა 1.04-2.84 მგ/ლ-ს ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის მნიშვნელობა - 74.06-284.95 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 284.95 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბრის თვეში ქ. ყვარელის ზედა კვეთზე. ამონიუმის აზოტის კონცენტრაციები 2 სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.22-2.81 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.406 მგN/ლ (1 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 2.81 მგN/ლ (7.2 ზდკ) დაფიქსირდა ქ. ყვარელის ქვემოთ აგვისტოს თვეში.

ნიტრიტის, ნიტრატის, ფოსფატის, სულფატის, ქლორიდის, თუთიის, სპილენძის, რკინის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ბურსა, ქ. ყვარელი ზედა - სულ აღებული იქნა 12 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები იცვლებოდა 1.04-2.84 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის მნიშვნელობა - 74.06-284.95 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 284.95 მგ/ლ დაფიქსირდა სექტემბერში.

ნიტრიტის, ნიტრატის, ამონიუმის აზოტის, ფოსფატის, სულფატის, ქლორიდის, თუთიის, სპილენძის, რკინის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. ბურსა, ქ. ყვარელი ქვედა - სულ აღებული იქნა 7 სინჯი. ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის მნიშვნელობები იცვლებოდა 1.15-2.58 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის მნიშვნელობა - 101.85-281.84 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 281.84 მგ/ლ დაფიქსირდა ოქტომბერში. ამონიუმის აზოტის კონცენტრაციები ორ სინჯში აღემატებოდა ზღვრულ მნიშვნელობას. მერყეობდა 0.147-2.81 მგN/ლ-ის ფარგლებში. საშუალო წლიურმა კონცენტრაციამ შეადგინა 0.734 მგN/ლ (1.9 ზდკ). უდიდესი მნიშვნელობა 2.81 მგN/ლ (7.2 ზდკ) დაფიქსირდა აგვისტოს თვეში.

ნიტრიტის, ნიტრატის, ფოსფატის, სულფატის, ქლორიდის, რკინის, თუთიის, სპილენძის, ტყვიისა და მანგანუმის კონცენტრაციები არ აღემატებოდა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს.

მდ. შრომისხევი - მდ. შრომისხევის წყლის ხარისხის შეფასება ჩატარდა 3 კვეთზე ქ. ლაგოდეხის ზემოთ, ქ. ლაგოდეხის ქვემოთ და ქ. ლაგოდეხში - ხიდთან. სულ აღებული იქნა 32 სინჯი.

ჟანგბადის შემცველობა იყო დამაკმაყოფილებელი. ჟბმ₅-ის კონცენტრაცია მერყეობდა 0.85-2.43 მგ/ლ-ის ფარგლებში, ხოლო მინერალიზაციის 46.03 - 227.97 მგ/ლ-ის ფარგლებში. უდიდესი მნიშვნელობა 227.97 დაფიქსირდა სექტემბერში ქ. ლაგოდეხის ზედა კვეთთან.

